ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N4

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 **18 დეკემბერი 2023 წელი**

15:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - **გიორგი ივანიაძე.**

სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 16 წევრი: გიორგი ივანიაძე, ნათია ძოძუაშვილი, სალომე ფახურიძე, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, გურანდა გვანცელაძე, დავით ხარძეიშვილი, თეონა ადეიშვილი, ლანა გოგოძე, გელა ჩიკვაიძე, ლელა ჩიკვაიძე, ბესიკი გველესიანი, ნატული დვალიშვილი, გვანცა სიგუა, ივანე მამფორია, ნანა ლილუაშვილი.

/დანართი: N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: გოჩა ჭუბაბრია, მამუკა ნამიჭეიშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, მარინა ღვინიანიძე, ნატო დვალი, თამაზი თავაძე, მიხეილ სვანაძე.

სხდომას უძღვებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე-გიორგი ივანიაძე. მან სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს დღის წესრიგი გააცნო.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მოსმენა:

მომხს: **სალომე ფახურიძე**

2. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მიმდინარე თვეში დასაგეგმი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

მომხს: **გიორგი ივანიაძე**

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-გენდერული საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ წარმოადგინა გენდერული საბჭოს მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა განმარტა, რომ საბჭის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერების მიზნით საბჭომ საკრებულოს სხდომაზე დაამტკიცა გენდერული საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა.

ძალადობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით მ/წლის 23 აპრილს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ ადგილობრივი რეფერირების სუბიექტები: საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობის, პოლიციის და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, სკოლის პედაგოგები, სამედიცინო პერსონალი.

შეხვედრაზე გაკეთდა პრეზენტაცია „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურები (ეროვნული რეფერალური მექანიზმი)“.

საუბარი შეეხო მნიშვნელოვან საკითხებს: მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული სტატისტიკა შემაკავებელი ორდერების, პრობლემების იდენტიფიკაციის და მსხვერპლის დახმარების კუთხით.

მაისის თვეში ფონდი „სოხუმის“ ადვოკატირების ჯგუფის და ვანის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრები სოფელ ისრითის და სოფელ სალხინოს საჯარო სკოლებში, რომლებშიც მონაწილეობდნენ სკოლების ადმინისტრაცია, პედაგოგები და უფროსკლასელები.

შეხვედრა მონაწილეებისთვის ძალიან ინფორმაციული აღმოჩნდა, გამომდიანრე იქედან, რომ მათ საშუალება ქონდათ დეტალურად გაცნობოდნენ ფონდი „სოხუმის“ მუშაობას და იმ სერვისებს რაც მათ ქალებისთვის აქვთ, ასევე მიიღეს ინფორმაცია მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების პროგრამის შესახებ, რაც თავად განყოფილების კოორდინატორმა და ინსპექტორმა გააცნეს.

მე, როგორც გენდერული საბჭოს მდივანმა მათ გავაცანი ინფორმაცია საბჭოს განხორციელებულ მუშაობაზე და სამომავლო გეგმებზე.

მონაწილეებმა დაასახელეს არაერთი მწვავე პრობლემა, რომელიც დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს. დაიგეგმა სამომავლო თანამშროლობაც.

მაისის თვეში ჩამოყალიბდა ქალთა ურთიერთდახმარების ჯგუფი კანადის თანასწორობის ფონდის მხარდაჭერით. ვანი მეექვსე მუნიციპალიტეტია, სადაც მუშაობა წარიმართება. პროექტი სულ 10 მუნიციპალიტეტს მოიცავს ბევრი საინტერესო და სასარგებლო აქტივობით.

24 ივლისს ფონდი „სოხუმის“ ადვოკატირების ჯგუფის და ვანის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით 20 ივნისს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააქტო დარბაზში ჩატარდა შეხვედრა ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელობის, ადმინისტრაციის და ქალაქის ბაღების მენეჯერების, აღმზრდელების, ფსიქოლოგების, მეთოდისტების ჩართულობით. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების წარმომადგენლები.

მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ შემუშავებული ახალ მონიტორინგის ანგარიშზე - „მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ეფექტიანობის შეფასება“. რომლის ფარგლებშიც შეფასდა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამიზნე მუნიციპალიტეტების მიერ პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ეფექტიანობა და ადგილებზე მოქმედი რეფერალური მექანიზმის სუბიექტებთან მათი თანამშრომლობის ხარისხი.

ძირითადი აქცენტი გაკეთდა დოკუმენტში ასახულ მნიშვნელოვან გამოწვევებზე და იმ რეკომენდაციებზე, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის და ბაღების გაერთიანების მუშაობას გააუმჯობესებს ძალადობის პრევენციისთვის.

ასევე მიიღეს ინფორმაცია მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების პროგრამის შესახებ, რაც თავად განყოფილების კოორდინატორმა და ინსპექტორმა გააცნეს. გენდერული საბჭს მდივანმა მათ გააცნო ინფორმაცია საბჭოს განხორციელებულ აქტივობებზე და სამომავლო გეგმებზე.

შეხვედრა მონაწილეებისთვის ძალიან ინფორმაციული აღმოჩნდა, მათ დაასახელეს არაერთი პრობლემა, რომელიც დაუყოვნებელ რეაგირებას მოითხოვს. დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობაც.

10 დეკემბერს-ადამიანის უფლებების საერთაშორისო დღესვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო და სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლა გამოეხმაურა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის 16-დღიან საერთაშორისო კამპანიას - „არა, გენდერულ სტერეოტიპებს“.

კამპანიის ფარგლებში გენდერული საბჭოს წევრებმა ინფორმაცია მიაწოდეს მოსწავლეებს გენდერული თანასწორობის, ასევე გენდრულად დაბალანსებული პედაგოგიკის დანერგვის და განვითარების შესახებ.

პროექტის მონაწილე მოსწავლეებმა ისაუბრეს იმ ცნობილი ქალბატონების შესახებ, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს მსოფლიოს განვითარებაში.

საბოლოოდ საბჭოს წევრებმა, სკოლაში არსებული კლუბის "ქალთა ოთახთან" ერთად მთავარ გამოწვევად გენდერული სტერეოტიპების მსხვრევა და ნაადრევი ქორწინება მიიჩნიეს და გენდერულ საბჭოს მიერ დაგეგმილ აქტივობებში ახალგაზრდების როლს გაუსვეს ხაზი, საბოლოოდ შეხვედრა ბავშვების მიერ გადაღებული ფილმის "ნუ გაგვათხოვებთ" ჩვენებით დასრულდა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერულმა საბჭოს თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ და საბჭოს სხვა წევრებმა პროექტის მონაწილეებს სერტიფიკატები და საჩუქრები, ქალთა კლუბს კი ასევე შემდეგი პროექტების განხორციელებისთვის საჭირო საკანცელარიო ნივთები გადასცეს.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით წარმოედგინათ მოსაზრებები და წინადადებები წლის ბოლოს განსახორციელებელი აქტივობების შესახებ და აღნიშნა, რომ „მოგეხსენებათ გენდერული საბჭო ტრადიციულად შშმ პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შშმ ბავშვების ჩართულობით გამართულ ღონისძიებას ესწრება, წელს შშმ ბავშვების მონაწილეობით დღის ცენტრი წინასაახალწლო ღონისძიებას გამართავს, სადაც საბჭოს წევრები ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად ღონისძიების მონაწილეებს საჩუქრებს გადავცემთ. ტრადიციულ ღონისძიებას კი რომელიც საბჭოს ინიციატივით წლის ბოლოს იმართება, თქვენი მოსაზრებების გათვალისწინებით დავგეგმავთ.

საბჭოს სხდომაზე გამოითქვა მოსაზრებები წლის ბოლოს მასშტაბურ ღონისძიებასთან დაკავშირებით და საბჭოზე ერთხმად გადაწყვიტეს, რომ წლის ბოლოს საბჭო წევრებმა ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად მოინახულონ და დააჯილდოვონ ვანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით განათლების სფეროში მოღვაწე შემდეგი ღვაწლმოსილი პედაგოგები:

1. ბზვანის საჯარო სკოლაში მოქმედ რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს-ზაირა კობალაძეს, რომელიც 1974 წლიდან მუშაობას აგრძელებს ბზვანის საჯარო სკოლაში;

2.ნიკოლოზ სანიკიძეს, რომელიც 1969 წლიდან მუშაობდა სალომინაოს საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად, ხოლო 1972 წლიდან 2007 წლამდე იყო სალომინაოს საშუალო სკოლის დირექტორი;

3. ქ. ვანის N2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილ პედაგოგს-ვალერინა ჩიხლაძეს, რომელიც თითქმის 50 წელი, 2009 წლამდე ეწოდა პედაგოგიურ საქმიანობას.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „ღვაწლმოსილი პედაგოგების წარმოჩენა და პოპულარიზაცია გენდერული საბჭოს უმთავრესი მიზანია, აღნიშნული აქტივობა საბჭომ უკვე რამდენიმე წელია ტრადიციად აქცია და მომავალშიც გაგრძელდება“.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ივანიაძე ----------

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი

სალომე ფახურიძე ----------

18.11.2023